

შეტყობინება მერვე

გედეონის როგორც ღმერთის მამაცი მეომრის სიღრმისეული მნიშვნელობა

ადგილები წერილიდან: მსაჯ. 6–9

- I. გედეონი იყო დაყენებული ღმერთის მიერ როგორც მამაცი მეომარი და გაგზავნილი ღმერთის მიერ, რომ გადაერჩინა ისრაელი (მსაჯ. 6:12-14; შდრ. იოანე 8:29) მიდიანელების ჩაგვრისაგან (მსაჯ. 6:1-8:32); ჩვენ უნდა დავინახოთ გედეონის წარმატების სიღრმისეული მნიშვნელობა:
- ა. გედეონი ყურადღებით ისმენდა ღმერთის სიტყვას, იმას, რაც იყო იშვიათი ისრაელის შვილებს შორის იმ დროს:
 - 1. უფალს ყოველთვის უნდა, რომ გაგვიხსნას ყურები თავისი ხმის მოსასმენად, რათა ჩვენ დავინახოთ ყველაფერი მისი სახლმშენებლობის თანახმად – გამოცხ. 1:10, 12; იობი 33:14-16; ესაია 50:4-5; გამ. 21:6.
 - 2. როდესაც სული ელაპარაკება ეკლესიებს (გამოცხ. 2:7ა), ჩვენ ყველას გვჭირდება გახსნილი, წინადაცვეთილი (იერ. 6:10; საქმე. 7:51), გაწმენდილი (გამ. 29:20; ლევ. 8:23-24; 14:14) და ცხებული ყური (მუხ. 17, 28), რათა მოვისმინოთ სულის ლაპარაკი.
 - ბ. გედეონი დაემორჩილა ღმერთის სიტყვას და მოიქცა ამ სიტყვის თანახმად – შდრ. ებრ. 11:32-33ა:
 - 1. ახალ აღთქმაში ჩვენ ვხედავთ ქრისტეს მოსმენისა და მორჩილების სიცოცხლეს, და თუ ჩვენ ვივლით სულის თანახმად, მაშინ ჩვენ ბუნებრივად აღვასრულებთ კანონის სამართლიან მოთხოვნას – ფილიპ. 2:5-11; რომ. 8:4.
 - 2. მაშინ, როდესაც მივდივართ კანონთან, თუ ჩვენ განწყობილნი ვართ, რომ მივაქციოთ ყურადღება მხოლოდ აღთქმებს ასოში, ჩვენ მივიღებთ კანონს მომაკვდინებელი ასოს ასპექტში; მაგრამ თუ ჩვენ მივიღებთ კანონის თითოეულ ნაწილს როგორც სიტყვას, ამოსწოთქულს ღმერთის მიერ, რომელიც ჩვენ გვიყვარს, მაშინ ჩვენ მივიღებთ კანონს მაცოცხლებელი სულის ასპექტში; მაშინ კანონი იფუნქციონირებს, რათ დაარიგოს თვით ღმერთი როგორც სიცოცხლე ჩვენში – მათში, ვისაც უყვარს ის და ეძებს მას – ფსალ. 119:25, 116, 130; 2 კორ. 3:6; 2 ტიმ. 3:16-17.
 - 3. ვიყოთ სიცოცხლით სავსენი – ნიშნავს, ვიყოთ ცოცხლები და მოქმედნი სულით გარეგნული და შინაგანი ავსების წყალობით და სახარების ქადაგებისა და ჭეშმარიტებების სწავლების მეშვეობით ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას სიტყვაში ჩაღრმავების შედეგად უფლის გადიდებისა და კვლავ გაგრძელებისათვის – დან. 11:32ბ; საქმე. 13:52; 4:8, 31; 13:9; 2:38; 5:32ბ; 2 ტიმ. 4:1-2.
 - გ. გედეონმა დაანგრია ბაყალის (ქანანეელების მთავარი ღმერთის) და აჩეხა აშერას („მდედრობითი სქესის“ მთავარი ღმერთის) სამსხვერპლო; ეს შეეხო ღმერთის გულს, რადგან ღმერთს სძულდა კერპები, რომლებსაც ის თვლიდა კაცებად, რომლებთანაც მისი ცოლი ისრაელი მრუშობდა; სიღრმისეულ

დონეზე, კერძი არის ყველაფერი ჩვენში, რაც უფრო მეტად გვიყვარს, ვიდრე უფალი და რაც გვიცვლის უფალს ჩვენს ცხოვრებაში – მსაჯ. 6:25-28; ეზეკ. 14:1-3.

- დ. მას შემდეგ, რაც დაანგრია ბაყალის და აჩეხა აშერას სამსხვერპლოები, რომლებიც ეკთვნოდნენ მის მამას, გედეონმა მსხვერპლად შესწირა თავისი ურთიერთობები მამამისთან და თავისი ტკობა საზოგადოებაში, რათა გაჰყოლოდა იეჰოვას; იმისათვის, რომ გაეკეთებინა ეს საქმე, გედეონს მოუწია, რომ მსხვერპლად გაეღო თავისი ინტერესები, და მისი მსხვერპლი გახდა გადამწვევტი ფაქტორი მისი წარმატებისა – მსაჯ. 6:28-32.
- ე. ამ ოთხი ფაქტორის წყალობით გედეონმა მიიღო ჯილდო: მასზე გადმოვიდა სახლმშენებლობის სული (მუხ. 34); ამიტომ, ის გახდა ძლიერი და მხოლოდ სამას ადამიანთან ერთად გაიმარჯვა ორ თავადზე და ორ მეფეზე, რომლებსაც ჰყავდათ ადამიანები „კალიასავით ურიცხვნი“ და „თვლა არ ჰქონდათ... მათ აქლემებს“ (მუხ. 5; 7:25; 8:10-12); გედეონი არის წინასახე ადამიანისა, რომელიც ცხოვრობს ღმერთთან კავშირში, ღმერთკაცი, რომელიც ასრულებს ღმერთის სიტყვას და ახორციელებს ღმერთის სახლმშენებლობას.

II. გამარჯვებულების ამორჩევა შეიძლება დავინახოთ ღმერთის მიერ გედეონისა და სამასი ადამიანის ამორჩევაში, რომლებსაც მასთან ერთად უნდა ებრძოლათ, რათა გაემარჯვათ მიდიანელებზე – 6:1-6, 11-35; 7:1-8, 19-25; 8:1-4:

- ა. მოთხრობა გედეონზე გვიჩვენებს, თუ როგორ ვიყოთ გამარჯვებული:
 - 1. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ჩვენი „მე“, გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ ვართ ყველაზე მცირეები – 6:15; ეფეს. 3:8; მათე 20:27-28; გალ. 6:3.
 - 2. ჩვენ უნდა ვიხილოთ ზეციური ხილვა ქრისტესი როგორც ცენტრალურობისა და უნივერსალურობის ღმერთის მარადიული სახლმშენებლობისა – მსაჯ. 6:12; საქმე. 26:12-22; კოლ. 1:17ბ, 18ბ; 1 ტიმ. 1:3-4; ფილიპ. 3:8, 10.
 - 3. ჩვენ უნდა მივუტანოთ ჩვენი თავი ღმერთს როგორც ცოცხალი მსხვერპლი მისი კეთილი, ღმერთისათვის მოსაწონი და სრულყოფილი ნების თანახმად, რათა გვექონდეს სინამდვილე და სიცოცხლე ქრისტეს სხეულისა (რომ. 12:1-5; შდრ. მსაჯ. 6:21-24); ჩვენ უნდა ვიყოთ ისინი, ვისაც ესმის და პასუხობს უფლის მოწოდებას გამარჯვებულებისადმი გამოცხადების მე-2 და მე-3 თავებში – 2:7, 11, 17, 26-28; 3:5, 12, 20-21; ჰიმნი 645.
 - 4. ჩვენ უნდა დავანგრიოთ კერპები ჩვენს გულში, ჩვენს ცხოვრებასა და ჩვენს მუშაობაში უფლის მოწმობისათვის, გავაცნობიეროთ, რომ, ერთი მხრივ, ღმერთს მივყავართ ჩვენ ქრისტეთი, როგორც ჩვენი სიცოცხლით, სინათლით და ძალით ტკობაში, და, მეორე მხრივ, ღმერთი ერთგულია იმაში, რომ ნება მოგვცეს ჩვენ განვიცადოთ ფინანსური სირთულეები, ემოციური ტანჯვები, ფიზიკური ტანჯვები და ბუნებრივი სიკეთის დაკარგვა, რათა ჩვენ მივიღოთ ქრისტე როგორც ჩვენი დაკმაყოფილება, ავივსოთ ქრისტეთი და ნება მივცეთ მას, რომ ჰქონდეს პირველი ადგილი

ყველაფერში – მსაჯ. 6:25-28; იოანე 10:10; 8:12; 2 ტიმ. 2:1; კოლ. 1:17ბ, 18ბ; 1 იოანე 5:21; იობი 22:24-26; მათე 10:35-39; 2 კორ. 12:7-9; იობი 1:1, 22; 2:9-10; 3:1, 11; 2 კორ. 4:5; 1 კორ. 2:2.

ბ. ის, თუ როგორ არიან არჩეულნი გამარჯვებულები, ჩანს სამასის ამორჩევის მაგალითზე; როდესაც უთხრა გედეონს, რომ მას ძალიან ბევრი ხალხი ჰყავს, ღმერთმა მიუთითა, რომ ის იბრძოლებდა ისრაელისათვის; პირველი ამორჩევის შედეგად წავიდა ოცდაორი ათასი:

1. მათ, ვინც წავიდნენ, უნდოდათ თავიანთი თავის განდიდება – მსაჯ. 7:1-2; იოანე 5:41, 44.

2. მათ, ვინც წავიდნენ, ეშინოდათ და ცახცახებდნენ – მსაჯ. 7:3; მათე 25:25; შდრ. რჯლ. 20:5-8.

გ. მეორე ამორჩევა განისაზღვრებოდა იმით, თუ როგორ სვამდა ხალხი; ისინი, ვინც სვამდნენ უშუალოდ თავიანთი პირით, იყვნენ უარყოფილნი ღმერთის მიერ; ისინი, ვინც სვამდნენ, ხელით წყლის მიტანით თავიანთ პირთან, იყვნენ ამორჩეულნი ღმერთის მიერ, რადგან ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებიც უარყოფდნენ თავიანთ თავს; იმის წყალობით, რომ ისინი სწორედ ასე სვამდნენ, მათ შეეძლოთ გულმოდგინედ გაჰყოლოდნენ გარშემო შექმნილ ვითარებას, წინასწარ შეეტყუთ მტრის ნებისმიერი თავდასხმა – მსაჯ. 7:4-6:

1. მათ, ვისაც აქვს შესაძლებლობა, რომ დაიკმაყოფილონ თავიანთი სურვილები, მაგრამ არ აკეთებენ ამას, არიან ადამიანები, რომლებიც უარს ამბობენ თავიანთ თავზე და რომლებიც დაექვემდებარენ ჯვრის სამუშაოს, მიიტანეს მსხვერპლად თავიანთი პირადი მოსვენება და კომფორტი ღმერთის ჩანაფიქრისათვის ღმერთის ომის დღეს – მუხ. 7; ფსალ. 110:3.

2. გამარჯვებულები არიან აბსოლუტურები ღმერთის დიდებასთან დაკავშირებით და ეშინიათ მხოლოდ იმის, რომ მათ შეიძლება შეურაცხეონ უფალი და დაკარგონ მისი თანდასწრება (გამ. 33:14-16); ისინი ნებას აძლევენ ჯვარს, რომ ბოლო მოუდოს მათ „მეს“ (1 იოანე 3:8; ებრ. 2:14; რომ. 6:23; გალ. 2:20).

დ. ღმერთმა მისცა გედეონს სამასი ადამიანი და გახდა ისინი ერთი მთლიანი, რაზეც მიუთითებს „ქერის მრგვალი პური“, რომელიც მიგორავდა მიდიანელების ბანაკში, რათა დაემარცხებინა ისინი და მოეტანა გამარჯვება ღმერთისათვის – მსაჯ. 7:9-25:

1. გედეონი და მისი ხალხი მოძრაობდნენ და მოქმედებდნენ ერთად ერთმშენებში როგორც ერთი ადამიანი, რაც აღნიშნავს ერთობას სულში და ცხოვრებას სხეულში; ისინი იყვნენ შეზავებული ერთად აღდგომაში, რომელსაც აღნიშნავს ქერი – მარცვლეული, რომელიც მწიფდება პირველი (მსაჯ. 6:16; 2 მეფ. 21:9; ლევ. 23:10; 1 კორ. 15:20), რათა იყოს ერთი პური, რომელიც აღნიშნავს ეკლესიას (10:17).

2. პავლეს წარმოდგენა ეკლესიაზე როგორც ერთ პურზე იყო აღებული ძველი აღთქმიდან პურეულ შესაწირავთან დაკავშირებით (ლევ. 2:4-5); ჩვენ ვართ მრავალი მარცვალი (იოანე 12:24) იმისათვის, რომ ვიყოთ

დაფქვილი წმინდა ფქვილად, რომელიც შეზავებულია ზეთთან კვერის, პურის, ანუ ეკლესიის წარმოსაქმნელად (1 კორ. 12:24-25).

3. ყველა თანამშრომელმა და უზუცესმა უნდა მწყემსონ ერთმანეთი და უყვარდეთ ერთმანეთი, რათა იყვნენ ნიმუში სხეულის სიცოცხლისა, ნიმუში ადამიანებისა, რომლებიც სწავლობენ, რომ იყვნენ შენაწევრებულნი, შეზავებულნი და გადახაზულნი ჯვრით, რათა გააკეთონ ყველაფერი სულით იმ მიზნით, რომ დაარიგონ ერთმანეთში ქრისტე სხეულის სიცოცხლის პრაქტიკისათვის – რომ. 12:1-5; შდრ. 2 ნემ. 1:10.

ე. გედეონი და მისი სამასი ადამიანი იბრძოდნენ და შრომობდნენ, მაგრამ ამასთან ერთად მთელი კრებული დევნიდა მტერს და იღებდა მოსავალს; ეს აღნიშნავს, რომ, როდესაც ჩვენ ვიმარჯვებთ, მთელი სხეული განიცდის გამოცოცხლებას, იმ დრომდე სანამ დედამიწაზე არ იმეფებს იეჰოვა როგორც მშვიდობა, იეჰოვა-შალომ (მსაჯ. 6:24) – 7:22-25; 8:1-4; კოლ. 1:24; ფსალ. 128:5; ესაია 32:17; 66:12.

ვ. როდესაც გედეონი და მისი ხალხი მისდევდა მიდიანელთა მეფეებს, ისინი იყვნენ „დაღლილები, მაგრამ მაინც აგრძელებდნენ დევნას“ (მსაჯ. 8:4ბ); ვინაიდან ჩვენ მივიღეთ ღმერთის წყალობა, რათა ვიმსახუროთ და ვიცხოვროთ ღმერთის მარადიული სახლმშენებლობის სინამდვილეში, ჩვენ არ ვნაღვლიანდებით (2 კორ. 4:1, 16-18); ჩვენ, შესაძლოა, ვშრომობთ დაღლამდე, მაგრამ ჩვენი შრომა ხორციელდება ღმერთის მოქმედების თანახმად, რომელიც მოქმედებს ჩვენში ძალაში (კოლ. 1:28-29; 1 კორ. 15:58).

III. ჩვენ უნდა დავინახოთ სიღრმისეული მნიშვნელობა გედეონის მარცხის დაფარული მიზეზის:

ა. პირველ რიგში, გედეონი არ ავლებდა სიკეთეს; მან მოკლა თავისი თანამემამულეები, რომლებიც არ უჭერდნენ მას მხარს (მსაჯ. 8:16-17), დაარღვია ღმერთის მეექვსე მცნება (გამ. 20:13); ქრისტემ, როგორც ღმერთის სიკეთემ მიგვიყვანა ჩვენ მონანიებასთან (რომ. 2:4; ტიტ. 3:4; ეფეს. 2:7).

ბ. მეორე, ის ასრულებდა ხორცის გულითქმებს (შდრ. გალ. 5:16; რომ. 8:4), არ ცდილობდა შეეკავებინა თავისი ხორცის გულისთქმები; ამაზე მიუთითებს ნათქვამი მსაჯ. 8:30-ში იმის შესახებ, რომ გედეონს ჰყავდა სამოცდაათი ვაჟი, „რადგან მას ჰყავდა მრავალი ცოლი“; გარდა ამისა, მისმა ხარჭამ, რომელიც იყო შექემში, ასევე შვა მისი ვაჟი (მუხ. 31); ამის მეშვეობით გედეონმა დაარღვია მეშვიდე მცნება (გამ. 20:14).

გ. მესამე, მიუხედავად იმისა, რომ გედეონი სწორედ მოიქცა, როდესაც უარი თქვა ხალხის მართვაზე (მსაჯ. 8:22-23), მან მოისურვა თავისი ხალხის ნადავლი (მათი ოქროს საყურეები), და ამის მეშვეობით დაარღვია მეათე მცნება, და მათ მისცეს ის მას; ხალხისაგან აღებული ოქროთი, გედეონმა გააკეთა ეფოდი, და ეს ეფოდი გახდა კერპი ისრაელის შვილებისათვის (მუხ. 24-27; გამ. 32:1-4 და შენ. 2¹); შედეგად გედეონის ოჯახი და ისრაელის მთელი საზოგადოება გაიხრწნა.

დ. მსაჯულთა წიგნი არის წიგნი კეთილი მიწით ტკობის შესახებ, რომელიც არის ქრისტეს წინასახე; გედეონის წარმატება მიუთითებს ქრისტეთი ტკობის შესანიშნავ შესაძლებლობაზე, ხოლო მისი მარცხი მიუთითებს ქრისტეთი ტკობის შესაძლებლობის დაკარგვაზე.

IV. გედეონის მოთხოვნილება ხორციელი გულითქმების ასრულებისა და მის მიერ ოქროს სურვილმა მიიყვანა ის კერპთაყვანისმცემლობასთან; სიხარბე არის კერპთაყვანისმცემლობა (კოლ. 3:5), და როგორც მრუშობა, ასევე სიხარბე დაკავშირებულია კერპთაყვანისმცემლობასთან (ეფეს. 5:5); მისი მარცხი გვიჩვენებს, რომ ჩვენ უნდა გამოვაგლინოთ მკაცრი თავშეკავება სქესობრივ კავშირებთან და სიმდიდრესთან დაკავშირებით:

ა. მეფე სოლომონიც კი, რომელიც იყო განდიდებული ისრაელის სამეფოში ამ სამეფოს ბრწყინვალეობით მის ზენიტში (3 მეფ. 4:34; 8:10-11) და რომელმაც დაიწყო, როგორც ადამიანი, რომელსაც ემინოდა ღმერთის და უყვარდა ღმერთი, ბოლოს და ბოლოს გახდა კერპთაყვანისმცემელი თავისი უცხოტომელი მრავალრიცხოვანი ცოლების გამო (11:1-13; იხ. შენ. 43!).

ბ. გედეონის სიკვდილის შემდეგ ისრაელის დეგრადაცია დაიწყო იქიდან, რომ მათ მიატოვეს იეჰოვა, თავიანთი ღმერთი, და მათ დაიწყეს ქანანეველთა კერპების თაყვანისცემა, რის შედეგადაც ისინი სიამოვნებას ანიჭებდნენ თავიანთ ხორციელ გულისთქმებს; გარდა ამისა გედეონის ხარჭის ვაჟმა, აბიმელექმა, მოკლა გედეონის სხვა სამოცდაათი ვაჟი, ამ დროს იოფამი, კიდევ ერთი ვაჟი, გადარჩა – მსაჯ. 8:33–9:57.

გ. იოფამმა თამამად განაცხადა იგავი აბიმელექის მეფობის შესახებ როგორც ეკლოვანის მეფობისა მათ საწინააღმდეგოდ, ვინც გვანან ზეთისხილს, ლედვსა და ვაზს და რომლებიც უარყოფენ პატივმოყვარეობას და ხდებიან ღმერთის ხალხისათვის კურთხევის არხები (მუხ. 8-13); ღმერთმა უპასუხა აბიმელექის ბოროტებას (მუხ. 14-55), რომელიც მან გაუკეთა თავის მამას, მოკლა თავისი სამოცდაათი ძმა; და მთელი ბოროტება შექქემის ხალხისა ღმერთმა დააბრუნა მათ თავზე, და მოუწია მათ იოფამის, იეროვალის (გედეონის – 6:32) ძის წყევლამ (მუხ. 56-67).

დ. თავის წარმატებაში გედეონი შეუერთდა ღმერთს, ხოლო თავის მარცხში ის შეუერთდა სატანას; მიატოვო ღმერთი და შეუერთდე სატანას – ნიშნავს შეუერთდე სიღრმისეულ პატივმოყვარულ სწრაფვას, რომელიც ახასიათებს ბოროტს – ესაია 14:13-14.

ე. ჩვენ არ გვაქვს არავითარი უფლება, გავეყაროთ უფალს და არავითარი მიზეზი, მივატოვოთ ის; ჩვენ უნდა მივიღოთ ის, გვიყვარდეს ის, დავაფასოთ ის, პატივი ვცეთ მას, მოვუსმინოთ მას, ავამადლოთ ის და მივემაგროთ მას, მთლიანად უარყოთ სატანა; მაშინ ჩვენ ვიქნებით კურთხეული; კურთხეულია ყველა ის – ხალხი, საზოგადოება, ჯგუფი და ცალკეული ადამიანი, ვისი უფალიც, თავიც, მეფეც და ქმარიც – არის იეჰოვა – ფსალ. 33:12.